თავისუფლება, ღირსება, საკუთრება

WWW.NESGEORGIA.ORG

ახალი ეკონომიკური სკოლა – საქართველო

ჰხეს ხელიზი

26 სექტემბერი, 2006

2004 წლისთვის საქართველო 13 საფეხურით დაწინაურდა და 53-ე ადგილზე გავიდა!

ეკონომიკური თავისუფლების საერთაშორისო ქსელის მიერ ჯერიზერის ინსტიტუტის (კანადა) მეთოდოლოგიით მომზადებული წლიური მოხსენება 2006 წლის 7 სექტემბერს გამოქვეყნდა და 2004 წლის სტატისტიკურ მონაცემებს ეყრდნობა

მსოფლიოში ეკონომიკური თავისუფლების კვლევის შესახებ

კვლევა სწავლობს ქვეყნების პოლიტიკისა და ინსტიტუტების მიერ ეკონომიკური თავისუფლების მხარდაჭერის დონეს. ქვეყანა ეკონომიკურად თავისუფალია იმდენად, რამდენადაც: დაცულია ადამიანი და მისი საკუთრება ძალადობისაგან; უზრუნველყოფილია პირადი არჩევანი; ნებაყოფილობითია საქონლეგაცვლა; ღიაა შიდა ბაზარი; დაუბრკოლებელია საშინაო და საგარეო ვაჭრობა; კონკურენტულია სამეურნეო გარემო; მიღწეულია კანონით მმართველობა; მკაფიოდაა განსაზღვრული ხელისუფლების უფლება-მოვალეობები; ქმედუნარიანია და მდგრადია თავად პოლიტიკური ინსტიტუტები.

38 მაჩვენებელი, რომელსაც კვლევა ეყრდნობა, თავმოყრილია 5 ჯგუფში: 1. მთავრობის სიდიდე; 2. სამართლებრივი წყობა და კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა; 3. მყარი ვალუტის ხელმისაწვდომობა; 4. საერთაშორისო ვაჭრობის თავისუფლება; 5. წარმოების, შრომითი და საკრედიტო ბაზრების რეგულირება.



ეკონომიკური თავისუფლება მატულობს

თავისუფალი ბაზრის იდეალს სრულად არც ერთი ქვეყანა არ შეესაბამება - ყველა ქვეყნის ეკონომიკა, **შერეული ეკონომიკაა**, მაგრამ ეკონომიკური თავისუფლების საშუალო მაჩვენებელი, 10 ქულიან სისტემაში, 1985 წელთან შედარებით, საგრძნობლად, კერძოდ, 5,2-დან 6,5-მდე გაიზარდა. იმ 109 ქვეყნიდან, რომელშიც გამოკვლევა 1985 წელს ჩატარდა, 96-ში ეკონომიკური თავისუფლება გაიზარდა.

ეკონომიკური თავისუფლების საერთაშორისო ინდექსი და საქართველო

ინდექსის სათავეში, 8.7 ქულით, ჰონგ-კონგი იმყოფება, რომელიც პირველობას 1970 წლიდან ინარჩუნებს. 8.5 ქულით, მეორე ადგილი სინგაპურს უჭირავს, ხოლო მესამეს, 8.2 ქულით, ახალი ზელანდია, შვეიცარია და ა.შ.შ. იყოფენ. მათ შემდეგ ირლანდია, დიდი ბრიტანეთი, კანადა, ისლანდია, ლუქსემბურგი, ავსტრალია, ავსტრია და ესტონეთი იმყოფებიან. სხვა მსხვილი ქვეყნები შემდეგ ადგილებს იკავებენ: გერმანია-17, იაპონია-19, საფრანგეთი-24, იტალია-45, მექსიკა-60, ბრაზილია-88, ჩინეთი-95, რუსეთი-102.



ვარდების რევოლუციის შემდგომი რეფორმების პირველი წელიწადის შედეგებით, საქართველო პოლონეთთან, სამხრეთ აფრიკასთან, სომხეთთან, მალაზიასთან, ტრინიდადთან, ინდოეთსა და პარაგვაისთან ერთად 53-ე ადგილს იყოფდა და 2003 წელთან შედარებით 13 საფეხურით დაწინაურდა. სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების ზრდას, საბაჟო პროცედურების გართულებას და საკუთრების უფლებების დარღვევების შემთხვევებს, თან ფართომასშტაბიანი პრივატიზების, დერეგულირებისა და ფულად-საკრედიტო სფეროს ლიბერალიზაციისკენ გადადგმული გაბედული ნაბიჯები სდევდა.

ეკონომიკურად თავისუფალი ქვეყნები ნაკლებად თავისუფალ ქვეყნებს კეთილდღეობის ყველა მაჩვენებლით უსწრებენ

2004 წლის მონაცემებით, ეკონომიკურად ყველაზე თავისუფალი 22 ქვეყნის მოსახლეობის შემოსავალი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში საშუალოდ 24402 ამერიკული დოლარია, მაშინ როდესაც ყველაზე არათავისუფალ 22 ქვეყანაში, საშუალოდ, მხოლოდ 2998 ამერიკული დოლარი; საუკეთესო 22 ქვეყანაში საშუალო ეკონომიკური ზრდა 2,1%-ია, ხოლო უარეს 22 ქვეყანაში, პირიქით, 0,2% კლება შეინიშნება; თავისუფალი 22 ქვეყნის ყველაზე ღარიბი მოსახლეობის საშუალო წლიური შემოსავალი 6519 ამერიკული დოლარია, ხოლო არათავისუფალ 22 ქვეყანაში, მხოლოდ 826 ამერიკული დოლარი; საუკეთესო 22 ქვეყანაში უმუშევრობის საშუალო მაჩვენებელი 5,9%-ია, ბოლო 22 უარეს ქვეყანაში – 12,7%; 22 თავისუფალ ქვეყანაში სოცოცხლის საშალო ხანგრძლივობა 77,8 წელია და ბავშთა მხოლოდ 0,1%-ს უხდება შრომა, ხოლო 22 არათავისუფალ ქვეყნებში სოცოცხლის საშალო ხანგრძლივობა 55 წელია და ბავშვთა 22,6%-ი შრომობს; თავისუფალ ქვეყნებში მოქალაქეთა პოლიტიკური და სოციალური უფლებები 3-ჯერ უფრო დაცულია, ვიდრე ეკონომიკურად არათავისუფალ ქვეყნებში.

უცხოური დახმარებები და ეკონომიკური თავისუფლება

პროფესორ უილიამ ისტერლეის ახალი გამოკვლევა ემპირიულად ასაბუთებს, რომ უცხოური დახმარებები არაეფექტურია სიღარიბის დაძლევაში. ირკვევა, რომ დახმარებების შეწყვეტის შემდეგ, ღარიბი ქვეყნები უფრო სწრაფად იწყებენ ზრდას, ვიდრე თავად დონორი ქვეყნები, თუკი მათი პოლიტიკა ეკონომიკური თავისუფლების ხელშესწყობასა და სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების შეკვეცას ითვალისწინებს. ეკონომიკური თავისუფლება ხელს უწყობს ეკონომიკური კეთილდღეობას, აღრმავებს სოციალურ თანამშრომლობას და განაპირობებს საერთაშორისო მშვიდობიანობას, მაშინ, როდესაც უცხოური დახმარებები და სიღარიბის დაძლევის ე.წ. "პროგრამები" მომხარებელზე ორიენტირებულ სამეწარმეო გარემოს ნაცვლად, ინტერესთა ჯგუფების ჩამოყალიბებასა და პოლიტიკური ხელისუფლების კორუფციას იწვევს.

ეკონომიკურ განვითარებას ეკონომიკური თავისუფლება და არა უცხოური დახმარებები განაპირობებს!

ეკონომიკური თავისუფლება მსოფლიოს ეკონომიკური თავისუფლების კვლევის შედეგები 1996 წლიდან ქვეყნდება. ნაშრომების ავტორებთან ერთად ისეთი გამოჩენილი ეკონომისტები, როგორებიც არიან ნობელის პრიზის ლაურიატები მილტონ ფრიდმენი, დუგლას ნორთი და გარი ბეკერი, აგრეთვე ჯეიმს გვორტნი, ედიტ ულოკერი, უოლტერ ბლოკი და სხვები.

მსოფლიოს ეკონომიკური თავისუფლების 20-10-ე ანგარიშის მთავარ ავტორებს არიან დოქტორები ჯეიმს გვორტნი, რობერტ ლოუსონი და უილიამ ისტერლი. კვლევაში მონაწილეობა მიიღო ფრეიზერის ინსტიტუტის (კანადა) ირგვლივ შექმნილი ეკონომიკური თავისუფლების ქსელის წევრმა 70-ზე კვლევითმა და საგანანათლებლო ორგანიზაციამ. საღღეისოდ კვლევა 130 ქვეყანას მოიცავს .

ახალი ეკონომიკური სკოლა – საქართველოს ინიციატივით და ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის (გერმანია) მხარდაჭერით 2004 წლის მაისში შეიქმნა საშინაო კავკასიის ეკონომიკური თავისუფლების კვლევის ქსელი, რომლის დამსახურებით, კვლევა 2005 წლიდან საქართველოზე, ხოლო 2006 წლიდან - სომხეთსა და აზერბაიჯანზე გავრცელდა.

ჰაატა მეშელიძე
ახალი ეკონომიკური სკოლა – საქართველოს პრეზიდენტი

ვისაკარი: საქართველო, 0108, თბილისი
სანაპირო ქუჩა № 4 (23-7 სართული)
ტელ./ფაქსი: 99 84 18
ელ-ფოსტა: OFFICE@NESGEORGIA.ORG
WWW.NESGEORGIA.ORG

პარტნიორი ორგანიზაციები:
- ახალი ეკონომიკური სკოლა - საქართველო
- ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი - გერმანია
- ფრეიზერის ინსტიტუტი - კანადა